



პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების
აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 8 20 0001209090



17/12/2020

შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის
„მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული
განვითარების პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის №46/ნბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) მე-16 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო)საკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი უკუკავშირის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულებისმე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებასპროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუაკრედიტაციის დებულების მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია“

სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ მათგანთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება:

2.1. 2020 წლის 16 სექტემბერს შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტმა ალტერბრიჯმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №01-16.09.20/29 (ცენტრში რეგისტრაციის №845646) სააკრედიტაციო განაცხადი „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამაზე. ცენტრის მიერ 2020 წლის 21 სექტემბრის № 870911 წერილით დაწესებულებას დაუდგინდა ხარვეზები. დაწესებულების 2020 წლის 29 სექტემბრის №01-29.09.20/33 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №911249) ზემოაღნიშნული ხარვეზები გამოსწორებულ იქნა.

2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 13 ოქტომბრის №985498 ბრძანების საფუძველზე, შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 13 ოქტომბრის №985498 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2020 წლის 23 ოქტომბერს განახორციელა შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯში სააკრედიტაციო ვიზიტი, ხოლო 2020 წლის 01 დეკემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასებულ იქნა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
1. პროგრამის შინაარსი			√
2. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები	√		

2.3. საბჭომ შეისწავლა პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი უკუკავშირი.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 10 დეკემბერს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი უკუკავშირის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის პოზიციის ზეპირი მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. საბჭო არ იზიარებდა პროგრამასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციას პროგრამის შინაარსის სტანდარტის 1.3 კომპონენტთან მიმართებით. აღნიშნულის შესაბამისად, საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, პროგრამასთან მიმართებით იცვლებოდა პროგრამის შინაარსის სტანდარტის შეფასება და ნაცვლად „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, პროგრამა აღნიშნულ სტანდარტთან მიმართებით ფასდებოდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

3. სარეზოლუციო ნაწილი:

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტების, მე-6 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად ერთხმად

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის 2020 წლის 16 სექტემბრის №01-16.09.20/29 (ცენტრში რეგისტრაციის №845646) სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ პროგრამას 5 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამის შესახებ (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად საბჭოს 2020 წლის 17 დეკემბრის №1208478 სხდომის ოქმის №2 ნაწილი (დანართი №3).

4. საბჭომ გაიზიარა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) ის ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილია პროგრამაზე დართული მოდულების სილაბუსების სახით, აუცილებელია, მუშავდებოდეს პროგრამასთან ერთად;

ბ) აუცილებელია, პროგრამის განმახორციელებელი ტრენერების როლის გაზრდა პროგრამების შემუშავების პროცესში. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია ჩართულობა გამოხატული იქნეს შემუშავების ეტაპზე არა მხოლოდ მათგან კონსულტაციების მიღების სახით, არამედ თითოეულმა ტრენერმა თავად უნდა შეიმუშაოს საკუთარი მოდული;

გ) ტრენერებთან გაფორმებული ხელშეკრულებები უნდა ითვალისწინებდეს დაწესებულების მიერ შემუშავებულ ტრენერის სამუშაო აღწერილობას (მოდულის შექმნა მიზნების და სწავლის შედეგების განსაზღვრა, სწავლების და შეფასების მეთოდების შერჩევა, მოდულის თემატიკის და მოცულობის დადგენა; მოდულის დღის წესრიგის მომზადება);

დ) დაწესებულებამ პროგრამის შემუშავების პროცესში უნდა აწარმოოს დოკუმენტაცია (ოქმები, ჩანაწერები/აღნიშვნები), რაც ხელს შეუწყობს როგორც კოორდინაციას, ისე დახმარებას გაუწევს დაწესებულებას აკრედიტაციის მიზნით თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესშიც;

ე) საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით გათვალისწინებული თემატიკის სრულად დაფარვის და საჯარო მოხელეებში საჭირო კომპეტენციების განვითარების მიზნით, აუცილებელია, პროგრამის დოკუმენტი, განსაკუთრებით კომპეტენციების ნაწილი, შეფასების მეთოდების ნაწილი (რომელიც ორიენტირებული იქნება არამხოლოდ თეორიის შეფასებაზე), პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა (პროგრამის დანართი) დამუშავდეს ერთობლივად ტრენერების მიერ, ხოლო თითოეული კომპონენტის სილაბუსის თემატიკა და დღის წესრიგი გადაიხედოს და დაზუსტდეს შესაბამისი ტრენერის მიერ;

ვ) აუცილებელია შეიქმნას პროგრამის შინაარსზე ორიენტირებული სპეციალური სასწავლო რესურსები (რიდერები/ინფორმაციული ჰენდაუტები) პროგრამის მსმენელებისათვის, რომელიც კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევაზე იქნება ორიენტირებული;

ზ) აუცილებელია, ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის განხორციელების გეგმა და სილაბუსები;

თ) აუცილებელია, პროგრამის განმახორციელებელ ადმინისტრაციულ პერსონალთანაც გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შესახებ შეთანხმებები, რათა მათი ფუნქციები ითვალისწინებდეს აღნიშნული პროგრამის შემუშავება/განხორციელებაში ჩართულობას;

ი) აუცილებელია, გაგრძელდეს მუშაობა შეფასების მეთოდების სრულყოფის მიმართულებით, რათა მეტად გახდეს ორიენტირებული სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე;

კ) აუცილებელია, დაწესებულების პროგრამის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში აისახოს, რომ მოხდება სამიზნე ნიშნულების გაუმჯობესების მიმართულებით მუშაობა.

5. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 2 თვე (17.02.2021).

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღეს - 2020 წლის 17 დეკემბერს.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებგვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლორია ხათუნა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
კასრაძე იზა

№	ინფორმაცია პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის შესახებ	
1	პროგრამის დასახელება	მოხელის მენეჯერული უნარები
2	სტატუსი	ახალი
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	---
4	სწავლების მეთოდი / ფორმა	საკლასო მეცადინეობა
5	საათებისრაოდენობა	36 საათი
6	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0162, წყნეთის გზატკეცილი N67
7	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	17.12.2020
8	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	2 თვე (17.02.2021)
9	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	17.12.2025